

სინქრონული მთარგმნელი და თუთიყუში

ავტორი [ქრისტინა სურგულაძე](#)

არაერთხელ თქმულა, რომ უცხო ენის შესწავლა უამრავ გამოწვევასთანაა დაკავშირებული. ზოგს წერა ურთულდება, ზოგს – მოსმენილის გაგება, დანარჩენებისთვის კითხვა ან დაუსრულებელ სიტყვათა მარაგის შევსებაა რთული, უმეტესობას კი შესწავლილ ენაზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბება ურთულდება.

სიმართლე ისაა, რომ ეს უკანასკნელი მართლაც თითქმის ყველასთვის პრობლემაა, ვისაც შესასწავლ ენაზე საუბრის ყოველდღიური პრაქტიკა არ აქვს. ჩემი მასწავლებლობის განმავლობაში უამრავი მოსწავლე მინახავს, რომელთაც გასაგიჟებლად დიდი ლექსიკური მარაგი ჰქონია, თუმცა როცა საუბარზე მიდგებოდა საქმე, სიტყვებს სწორად ვერ ალაგებდნენ. შევხვედრივარ მოსწავლეებს, რომლებიც საკმაოდ ჩანლართული ტექსტების გასააზრებელ დავალებებს სრულყოფილად ასრულებდნენ, მაგრამ ზეპირად ვერაფრით გადმოსცემდნენ, რაზე იყო ტექსტი. ამ ყველაფრის მიზეზი პირველ რიგში ნაკლები სასაუბრო პრაქტიკაა, რომელსაც თავის მხრივ უამრავი პატარა პრობლემა ახლავს თან – იქნება ეს საგაკვეთილო პროცესის 100%-ით ქართულად წარმართვა, თუ ის, რომ არ ხდება უცხო ენაზე არაფრის მოსმენა.

ყველაზე მთავარი კი ალბათ მაინც ისაა, რომ ჩვენ, მასწავლებლები, რატომღაც მუდამ უფრო კონცენტრირებული ვართ კითხვაზე, გრამატიკაზე, დავალებებზე, წერაზე და ნაკლებად – სასაუბროსა და მოსასმენ სავარჯიშოებზე. შეიძლება ვიუაროთ, თუმცა თუ გულზე ხელს დავიდებთ, გავახსენდება, რომ, პირობითად, თუ გვაქვს ორი სავარჯიშო, გრამატიკული და სასაუბრო, და დროის სიმცირის გამო მათგან ერთ რომელიმეზე უნდა გვაკეთოთ არჩევანი, დარწმუნებული ვარ, გრამატიკულ სავარჯიშოს არავინ გამოვტოვებთ. სასაუბრო კი რატომღაც მოიცდის.

გარკვეულწილად ეს ჩვენც სწორედ სკოლიდან გვაქვს წამოყოლილი. რამდენად შორსაც არ უნდა წავიდეთ, რამდენადაც არ უნდა განვვითარდეთ, თუ კარგად დავაკვირდებით, ჩვენში ჩუმად მუდამ ცოცხლობს ის მეთოდები, რომლებითაც ჩვენ გვასწავლიდნენ, ჩვენ კი (უმეტესობას მაინც), საუბარს არ გვასწავლიდნენ. ახლა უცხო ენის ამ მეთოდით სწავლებას უნდა ვებრძოლოთ ყველაზე მეტად.

ისევე როგორც სპელინგის შემთხვევაში, ინტერნეტსივრცე სავსეა უამრავი სახალისო თამაშითა და აქტივობით, რომლებიც გაკვეთილზე შეიძლება დავიხმაროთ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა რაც შეიძლება მეტი ისაუბრონ. თუმცა ინტერნეტსივრცის გადაქექვის გარეშე შეიძლება პერიოდულად თავში უამრავი იდეა მოგვივიდეს. სწორედ ასეთ იდეებს უნდა მივდიოთ, თუკი გვსურს, რომ ბავშვებისთვის სასკოლო ცხოვრება კიდევ უფრო სახალისო გავხადოთ.

ერთ-ერთი გაკვეთილის მიმდინარეობისას, მეოთხეკლასელებს ვთხოვე, მოეყოლათ, რა გადახდათ თავს საგაზაფხულო არდადეგების დროს. ცხადია, ეს ინგლისურ ენაზე უნდა გაეკეთებინათ. მათ შორის, რასაკვირველია, იყვნენ ისეთები, ვისაც დაფიქრება არაფერზე დასჭირვებიათ, სასწრაფოდ აწიეს ხელი. ნაწილმა პირველობისგან თავი შეიკავა, რადგან დაფიქრება და წინადადებების დალაგება სურდა გონებაში, ნაწილმა კი სრული პასიურობა გამოავლინა და ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ, შემომთავაზა – ქართულად გეტყვითო. როგორც აღმოვაჩინე, მე იმ მასწავლებელთა კატეგორიას განვეკუთვნები, რომლებსაც მოსწავლეების ამბებისა და თავგადასავლების მოსმენა და შეგროვება მუდამ უყვარს და არცერთ ენაზე არ ეზარება. თუმცა, ამ შემთხვევაში, სხვა გზა არ მქონდა, რამე უნდა მომეფიქრებინა, რომ კლასის „მას, ქართულად ვიტყვი რა“ ნაწილს რამენაირად სიმორცხვე დაეძლია და ეცადა, ინგლისურად ესაუბრა.

იმ მომენტში ერთ-ერთ მოსწავლეს დავთანხმდი, მოეყოლა ქართულად თავისი ამბავი, თუმცა კლასს ვთხოვე, რომ სინქრონული მთარგმნელი გამოეყო (ვინ იცის, იქნებ ვინმეს მომავალი პროფესიაც კი ვაპოვინოთ). ასე და ამგვარად დაფასთან ორი მოსწავლე აღმოჩნდა, მთხრობელი და მთარგმნელი. მთხრობელს ვთხოვე, რომ ყველაფერი გაემეორებინა, რასაც მთარგმნელი იტყოდა, თითქოს თუთიყუში იყო. პროცესით ძალიან ვიხალისეთ, აღმოჩნდა, რომ კლასში ბევრი გვყოლია სინქრონული მთარგმნელობის მსურველი. ასე და ამგვარად, ხალისის პარალელურად სხვა მოსწავლეებმაც დაძლიეს სიმორცხვე და ნელ-ნელა შეეცადნენ ინგლისურად ესაუბრათ.

ამ ამბის შემდეგ ამ მეთოდს სხვა დროსა და სხვა კლასებშიც მივმართე. როდესაც მოსწავლეები განსაკუთრებით დაიჟინებდნენ, რომ ამა თუ იმ თემაზე საუბარი ინგლისურად არაფრით არ შეეძლოთ, ჯერ სინქრონულ მთარგმნელთან ერთად ცდილობდნენ გაემეორებინათ წინადადებები. მერე კი დამოუკიდებლად შეუდგებოდნენ იმის თხრობას, რაც უკვე ნათარგმნი და ერთხელ გამეორებული იყო. ამ დროს სინქრონული მთარგმნელის როლმორგებული მოსწავლეც არანაკლებ ვარჯიშდება საუბარში.

გარდა ამ სახალისო აქტივობისა, საგაკვეთილო პროცესში ხშირად შეგიძლიათ გამოიყენოთ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა, ე.წ. როლური თამაშები, დიალოგები, კითხვა-პასუხის რეჟიმი, would you rather ან have you ever კითხვარი, სიტყვების სხვა სიტყვებით ახსნა გამოცნობისთვის და ა.შ.

ამ და სხვა უფრო მეტი საინტერესო აქტივობების მოსაძიებლად კი აუცილებლად ესტუმრეთ ქვემოთ მოცემულ ლინკებს.

<https://www.teachingexpertise.com/classroom-ideas/esl-speaking-activity/>

<https://www.fluentu.com/blog/educator-english/speaking-activities-for-esl-students/>

<https://www.edutopia.org/discussion/12-fun-speaking-games-language-learners>

<https://www.eslcafe.com/resources/lesson-plans/speaking>